



2800

ქ. ლანჩხუთი ვოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 6170
13/12/2018

6170-09-2-201812131554



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამიუჯებო სამსახურის მიერ მომზადებული დამატებითი განმარტებითი ბარათი, სადაც 2018 წლის დაძლივიცებულ ბიუჯეტში ცვლილების ასახვის მიზნით გთხოვთ მოწვეული იქნას რიგგარეშე სესია.

გთხოვთ, განიხილოთ.

პატივისცემით,

სარიშვილი ალექსანდრე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელშესღვანელობა

საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1440
13/12/2018

1440-09-3-201812131505



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშჩიას
დამატებითი განმარტებითი ბარათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი შემცირდეს 12500 ლარით და გაიზარდოს ხელფასის ფონდი 5000 ლარით, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება 4500 ლარით და ოფისის ხარჯი 3000 ლარით. შემცირდეს ლანჩხუთის მინიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 9000 ლარით და სესხის სარგებლის პროცენტის 23350 ლარით, გაიზარდოს მერიის ოფისი მუხლი 11370 ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 780 ლარით, გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 11600 ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის დამატებით გამოიყოს 38000 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის სუფსიდიის დაფინანსება შემცირდეს 1130 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 1130 ლარით. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 1350 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის და ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 31080 ლარით, სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა გაიზარდოს 2000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა გაიზარდოს 15000 ლარით. იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 400 ლარით.

ამასთან, მიზანშეწონილად ჩაითვალა გაეზარდოთ დაფინანსება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს 55000 ლარის ოდენობით, მათ შორის სუბსიდია 30960 ლარი, არაფინანსური აქტივები 24040 ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 10800 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების დაწესებულებების ხარჯი გაიზარდოს 18000 ლარით, ამასთან შემცირდეს არაფინანსური აქტივების მუხლი 2012 ლარი და გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი 2012 ლარით. შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაეზარდოს 6000 ლარით. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემცირდეს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებათა ტრანსპორტირების ხარჯი 3080 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა შემცირდეს 400 ლარით და გაიზარდოს უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 165550 ლარით.

აღნიშნული ღონისძიებების შესაბამისი ცვლილებები იქნეს შეტანილი 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვის ნაწილში.

პატივისცემით,

ლაშია როლანდი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური